ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13. 13250863**
თარიღი:**27/03/2025**

„ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის

დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N51 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი'' საქართველოს კანონის 63-ე მუხლის შესაბამისად,

1. შევიდეს ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის № 51 განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართის 69-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	ობიექტის დასახელება	მდებარეობა	საწყისი საპრივატიზებო საფასური	აუქციონის ფორმა (პირობიანი, უპირობო)	აუქციონის შემდგომ მუნიციპალიტეტის შეძენილი ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა	შენიშვნა
69	ახალციხის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ჯართი (განკომპლექტებული ნაგავშემკრები კონტეინერების სახით,	ქალაქ ახალციხეში, მიქუტიშვილის ქუჩის ბოლო	4320 (ოთხი ათას სამასოცი)	ელექტრონული აუქციონი უპირობო ფორმით	გადახდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში	

	დაახლოებ ით 12 ტონის ოდენობით)					

2. შევიდეს ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის № 51 განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართს დაემატოს, დანართის სახით წარმოდგენილი შემდეგი რედაქციის 71 -ე პუნქტი.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ.N60ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

№	ობიექტის დასახელება	მდებარეობა	საწყისი საპრივატიზებო საფასური	აუქციონის ფორმა (პირობიანი, უპირობო)	აუქციონის შემდგომ მუნიციპალიტეტის შეძენილი ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა	შენიშვნა
71	ავტომანქანა TOYOTA HILUX 2,5 TD სახელმწიფო ნომერი QV335VQ, გამოშვების წელი 2007, ფერი: თეთრი	ქალაქ ახალციხეში, მიქუტიშვილის ქუჩის ბოლო	12800 (თორმეტი ათას რვაასი)	ელექტრონული აუქციონი უპირობო ფორმით	გადახდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში	